სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/04

ქ. თბილისი 14 თებერვალი 2018

სტუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის, სტუ-ის წესდების მე-8 მუხლის და 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭო დაადგინა:**

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში და მე-3 მუხლის 3.13[1] პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.13[1] ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების (შემდგომში- სტუდენტი) შეფასებისას მოწმდება შესაფასებელი პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობა. კომპეტენტურობის შეფასებისას შეფასება ხდება თითოეული მოდულის სპეციფიკაციაში მოცემული შესრულების კრიტერიუმის თანახმად.

კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება გულისხმობს იმის ჩვენებას, თუ რამდენად შეუძლია სტუდენტს შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენება.

კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების პროცესში ხდება სტუდენტის ცოდნისა და უნარების დონის დადგენა შეფასების სტანდარტის შესაბამისად. სტუდენტი ჩაითვლება კომპეტენტურად, თუ მას შეუძლია სწავლის შედეგით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება.

მტკიცებულება – სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური სახით არსებული დასტური. მაგალითად, სტუდენტის მიერ შევსებული ტესტი, შესრულებული ნახაზი, შექმნილი ნაკეთობა ან ნაკეთობის ფოტო, შემოწმების

ფურცელი, რომელიც მასწავლებელმა შეავსო სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვების შედაგად და ა.შ.

მტკიცებულებების შეგროვება, შესაბამისად, სტუდენტთა შეფასება, მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ან/და სწავლის დასრულებისას.

მოდულების ფარგლებში შეფასების მნიშვნელოვანი თავისებურებებია:

- მოდულური პროგრამის გავლის დასადასტურებლად დადებითად უნდა შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული;
- მოდულის ფარგლებში დადებითად უნდა შეფასდეს მოდულის შესაბამისი სწავლის შედეგი;
- მოდულის ფარგლებში დადებითად უნდა შეფასდეს თითოეული სწავლის შედეგის შესაბამისი ყველა კრიტერიუმი;
- შესაძლოა რამდენიმე სწავლის შედეგის ერთად შეფასება;
- სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში სტუდენტს, კანონით განსაზღვრული წესით, ეძლევა აღნიშნული სწავლის შედეგის დადასტურების უფლება.

შეფასება დასაშვებია განხორციელდეს სხვადასხვა გარემოში: სამუშაო ადგილზე (ან სამუშაო ადგილის მსგავს პირობებში), სხვა სასწავლო დაწესებულებებში ან საგამოცდო დარბაზებში.

შეფასების მიმართულებებია:

პროცესზე დაკვირვება;

პროდუქტი/შედეგი;

გამოკითხვა (აკადემიური – კოგნიტური; კრეატიული; ანალიტიკური – უნარები).

შეფასების შედეგები შეიძლება ასახული იყოს შემდეგ დოკუმენტებში:

1. შესაფასებელი პირის მიერ წარმოებული წერილობითი მტკიცებულება, რომელიც გამოიყენება შეფასებისას, ესენია: ტესტირების ფურცლები, პროექტები და ა.შ.;
2. პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ გასაუბრების, ზეპირი გამოკითხვის და/ან პრაქტიკული შეფასებისას შევსებული დოკუმენტები;
3. ჩანაწერების დოკუმენტი, რომელიც შეიცავს შესაფასებელი პირის ყველა შედეგს, რომელიც მომზადდა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ;
4. სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია შესაბამისი დანართებით.

სტუდენტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ინახება პორტფოლიოში, რაც ეხმარება შემფასებელსაც და შესაფასებელ პირსაც შეაგროვონ, წარმოადგინონ პროფესიული სტანდარტების შესაბამისი მტკიცებულებები.

შეფასების დოკუმენტაცია შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმატის. ნებისმიერი ფორმატის შემთხვევაში დოკუმენტმა უნდა ასახოს ყველა წარმოდგენილი მტკიცებულება, ასევე უნდა გამოავლინოს შემფასებლის მიერ მიღებული შეფასების გადაწყვეტილებების შესაბამისობა

შეფასების სტანდარტებთან. დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად არის განთავსებული მტკიცებულება, რათა გარე შემმოწმებელმა შეძლოს მისი მოძიება და შემოწმება“;

დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე